შაბათი, 29 დეკემბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი № 286

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით—90 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ, სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისათვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

28 დეკემბერს გარდაიცვალა

## გენ.-მაიორი ივანე ბესარიონის ძე საგინოვი,

რასაც უბედურებით შეწუხებულნი შვილი და ქალები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ.

პანაშვიდები 29 დეკემბერს, შუადღის 1 საათზედ და საღამოს $7^1/_2$ ს. ცხედრის გამოსვენება დანიშნულია კვირას, 30 დეკემბერს $9^1/_2$ საათისთვის ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში; დაკრძალვა ორშაბათს სოფ. კოდაში. (2—540—1)

კვირას, 30 დეკემბერს

## ბარბარე ვახტანგ ბარათაშვილის სულის ამაშუკელის

გარდაცვალების მეცხრე დღეს, ქუთაისში, ალექსანდრე-ნეველის ეკლესიაში გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 ს., პანაშვიდი 11 ნახევარ საათზე, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის შვილები. (1—539—1)

მწუხარებით მოკლულნი მიხეილ დავითის ძე, ვალიკო მიხეილის ძე და ვერა აფრასიონის ასული მაჭავარიანები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ დაკარგვას საყვარელ

## მ უ ც კ ი ს ა ს (ევა)

ცხედრის გამოსვენება 30 დეკემბერს სოფ. არგვეთში. (1—ფ—1)

# კახური არაყი
## სავაჭრო სახლის
## „ძმ. სესიევები და ამხ."-ისა.

ეს არაყი გამოხდილია კარდენახში, იქაურ საუკეთესო ღვინისაგან. დიდი ხნის დაყენებულია და თვისებით არაფრით არ დაუვარდება სამ და ოთხ ვარსკვლავიან კონიაკს. ეს საუკეთესო არაყი დავამზადეთ კონიაკის ადგილას ამ დღესასწაულისათვის. მუშტარს ვურჩევთ შეიძინოს ეს არაყი.

ვოგზლის ქუჩა, № 6. (5—521—4)

### მოსკოვის საფაბრიკო მაღაზია

მამაკაცების, დედა-კაცების და ბავშვების დამზადებულ ტანისამოსისა

# „ექსელანსი"

გოლოვინის პროსპ., მანთაშოვის სახ. საზოგ. საკრებულოს ქვემოდ

## აცხადებს,

რომ, „ექსელანსის" ამხ—ბის გამგეობისაგან მიღებულ განკარგულებით, ყველასაქონლის ფასები

# დაკლებულია

მომავალ დღესასწაულებისთვის მიღებულ იქნა დიდ-ძალი პიჯაკები, ვიზიტკები, სერთუკები და ფრაკები, შარვლები, ჟილეტები „ფანტაზია", ქალებისა და ვაჟების გაუქდენთავი წამოსასხამები, პალტოები საზამთრო კარაკულის ტყავის საყელოთი, ფორმები ყველა სასწავლებლის ტანისამოსისა; რუსეთის და საზღვარ-გარეთის მატერიებისა; აგრეთვე ქალების ტანისამოსი უკანასკნელ მოდებისა. დიდ-ძალი პლიუშის ჟაკეტები.

## ფასები საქარხნო და შეუვაჭრებლად

„ექსელანსის" ამ—ბამ კრივოიროგის გამოფენაზე მიიღო

## ოქროს მედალი

(10—493—7)

## ძმ. ნიკიტნებს ცირკი.



29 დეკემბერს, 1907 წელს, გაუდ-გოლეი წარმოდგენა. „ჩვენი შაბათები". მონაწ. იღებენ ცხენოსანნი, გიმნასტები, აკრობატები, კლოუნები. პირველად ფანტასტ. ფეერია „ოქროს ძილი". სხვათა შორის გასტროლი პირუტყვების შესან. მწვრთნელის ჰენრიხ ბანოვი თავის ცოცხალ დათვებით. დღეს კავკასიური ჭიდაობა. კაცი დაეჭიდება ცოცხალ დათვს. ყველანი იღებენ მონაწილეობას. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. კასსა ღიაა 11-დან 2 საათამდე და 6-დან წარმოდგენის გათავებამდე. დაწვრილებით პროგრამებში. 30 დეკ. ორი წარმოდ. დილით და საღამოთი. (1—583—1)

დირექტორი აკიმ ნიკიტინი.

ტფილისის სახაზინო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა

შაპათს, 29 დეკემბერს, ჩვეულებრივ ფასებით ვინ. კოპპოლას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

„ე ბ რ ა ე ლ ი ქ ა ლ ი („ჟიდოვკა")

ოპერა 5 მოქ., მუსიკა გალევისა.

მონაწ. იღებენ: ქ-ნნი მარკოვა, პოპოვიევა; ბ-ნნი დე-რობერტი, კოპპოლა, კუზმინი, პლატონოვი, სიბრიაკოვი.

კაპელმეისტერი: ფალიაშვილი. დასაწყისი 8 საათზე.

30 დეკ. დილით ოპერია «ივანე მეფის ძე» და ბალეტი; საღა. «კარმენი». (0—25)

## თამბაქოს ქარხანა

საქ. სახ. „მირისა" ტფილისში.

ურჩევს მუშტარს ახლად გასასყიდად გამოშვებულ პაპიროსებს

# არომატ

საუკეთესო ხარისხის თამბაქოსას.

10 ცალი 5 კაპ. 25 ცალი 15 კაპ.

საქარხნო მაღაზია სასახლის ქუჩ. ტელ. № 349. (40—415—28)

კბილის ექიმი
**ბალარჯაშვილი მათეშვილი**
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 სად. 5—7 ს. ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 37. (25—518—7)

ექიმი
**მ. ზ ა შ ა კ ი ძ ე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

**ქუთაისში**
კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი
ს. ი. კერესელიძე
გადავიდა გეგუთის ქუჩაზე 3 რუხაძის სახლში. (25—ფ.—21)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—475—20)

**ელექტრონის და რენტგენის**
**სამკურნალო კაბინეთი**
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (0—487—15)

**ქ. ქუთაისში**
**ე ქ ი მ ი ჯ ა შ ა რ ი ძ ე**
იღებს ყურით, ყელით, ცხვირით და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ ნიჟარაძისა. (50—6.—44)

კბილის ექიმი
**ალ. ხოლოდაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (64)

**ქუთაისში**
კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი ქ ა ლ ი
**ე. დ. ნ ა ხ ა რ ი ძ ე**
იღებს ავადმყოფებს ექიმ ნახარიძის ბინაზე. (346)

**ქ ო ბ უ ლ ე თ შ ი**
ექიმი
**ნ. გ. მრევლიშვილი,**
მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საზებიო სასწავლებელში და ინტერნად მშობიარეთა სახლში, მიიღებს ავადმყოფთ ყოველ დღე 9—12 საათამდის, ადრესი: ზ. მაჭავარიანის სახლი (ბატონის წყაროზე). (50—413—37,

**ქ. ქუთაისში**
**ე ქ ი მ ი ბ ა დ რ ი ძ ე**
ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ფილტვების, ხუნაგის და ყვავილის აზრიანებული აცრა. დილის 8—12 საათ., საღამოს 4—5 საათზე. პოლიციის ქ. ციციაშვილის სახლი. (15—კვ.—5)

ე ქ ი მ ი
**ვ. ნ. მაზაკიანი**
იღებს ავადმყოფებს შინაგან და ბავშვებისას. სპეციალური ექიმი კუჭის და ნაწლავებისა. მიღება: დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. მიხეილის პროს. № 36, სახ. ჭავჭანიძისა(25—წლ.

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს, საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლღას ქუჩა № 25- (0—260)

ე ქ ი მ ი
**ვ. ს. მუსხელიშვილი**
სდებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თ.)

ე ქ ი მ ი
**ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე**
**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**
იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა №, 14.

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო
**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**
**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**
ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.
ტელეფონი № 481.
**ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.**
**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 ს.
**რადეცკი**—კანისა, ვენ., სიფილ. ყოველ დღე 1½—3 საათ.
**ანჩევსკი**—ყურისა, ყელ. და ცხვირ. ყოველ დღე 4—5 საათამდე.
**ერმოლაევა**—ბავშ. შინ. ყოველ დღე 1—12 ს.
**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.
**აზმანოვი**—ყურისა, ყელ., ცხვ. ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. სამშაბ. და პარასკ. გარდა.
**ოსმოლიანინა**—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ. პარასკ. კვირა 1—2 ს.
**ზოლოტოვსკი**—შინაგ. ჰიპნოზი ყოველ დღე 4—5 ს.
**გორადოვიჩი**—შინაგ. ყოველ დღე $11^1/_2$—$1^1/_2$ საათ.
**ანაევა**—ქალთა ავად. ყოველდღე 4—5 ს.
**ზუდინოვსკი**—ნერვ., სულით, ელექტრ. ყოველ დღე 4—5 ს.
**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ნოვიცკა**—ქალ., ბავშ. ყოველ 1—2 ს.
**ნეიშტადტი**—კბილისა, ყოველ დღე 10—12 და 3—5 ს.
**გორობეცოვა**—მასსაჟი. ყოველ დ. 12—4 ს.
**პივარჩიკი** — | **ზუდინოვსკი** — | კლინიკური ანალიზი.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთ გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—77)

კვირას, 30 დეკემბერს, შუადღის 12 საათზე, მოხდება

## საზოგადო კრება

**საბირჟო საზოგადოებისა**

კრება მოხდება ვაჭართა სტაროსტას კამერაში, ფრეილინის ქ., № 4. (2—6. 1)

№ 20—1. № 20—1.

# ნიშადური

(საახალწლო ნომერი)

გამოვა გასასყიდად ტფილისში და ქალაქს გარედ ორშაბათს, 31 დეკემბერს საღამოთ ჟამს. ფასი ყველგან ორ-ორი შაური.

**შინაარსი**: სხვა და სხვა წერილები, ლექსები, იგავ-არაკები, საახალწლო მილოცვა და ნოპათები, სურათები, ნახატები და კარიკატურები ფერადად დაბეჭდილი.

რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუნია.

კვირას, 30 დეკემბერს, გამოვა

**იუმორისტული ჟურნალი**

## „ცეცხლი".

გაზეთის გამყიდველებს შეუძლიანთ იყიდონ ჟურნალი „სორაპნის" სტამბაში.

## საგლეხო გაზეთი
# „მიწა"

1908 წელს ხელახლა გამოვა იმავე მიმართულებით, როგორც გამოდიოდა წინად.

„მიწა" ემსახურება მიწის მუშა გლეხებს და ყოველთვის და ყოველგან დაიცავს მათ ინტერესებს.

გაზეთის პირველი ნომერი გამოვა პირველ იანვარს.

გაზეთის კანტორა იმყოფება „სორაპანის" სტამბაში, სადაც ყოველი ანგარიშისათვის უნდა მიმართონ მიხ. გაჩეჩილაძეს. ფოსტის ადრესი: Тифлисъ типографія „Сорапань". Газета „Мица". ხოლო გაზეთში დასაბეჭდათ გამოგზავნილი მასალას უნდა წააწერონ: ს. ფირ—ს გადასაცემად. (3—1)

# ქუთაისში

წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების კონტორა „იმერეთი" ხელახლა ატყობინებს ქუთათურ ხელის მომწერლებს, რომ წლიწადი თავდება და ხვედრი ფულის შემოტანა დაიჩქარონ. ამასთან, რადგან რამდენიმე ბოროტ-მოქმედება მოხდა, კანტორა ითხოვს ფული თვით მის პატრონს ის. კვიცარიძეს წარუდგინონ და ვისაც გაზეთები არ მისდის, კანტორიდან მოითხოვოს დროებით. (5—1)

## ტფილისი, 29 დეკემბერი.

უკანასკნელი ოთხი წელიწადი რუსეთში საერთოდ და ჩვენს ქვეყანაში კერძოდ პოლიტიკურ ინტერესების განუსაზღვრელ განცხოველებით შეიძლება დახასიათდეს. პოლიტიკურ ინტერესების და იდეალების ნიადაგზე ამ ოთხი წლის განმავლობაში საშინელი საზოგადოებრივი ბრძოლა სწარმოებს. პოლიტიკა თითქოს იმ ერთად ერთს ღერძად გადაიქცა, რომლის გარშემოც ტრიალებს მთელი ცხოვრება. პოლიტიკამ დასჩრდილა საზოგადოებრივობის ყველა სხვა გამოხატულება და ადამიანთა შეგნებაში იგი თითქოს საზოგადოებრივობის ერთად ერთ შესაძლო ფორმად გადაიქცა.

ისტორიულ განვითარების პროცესს ყოველთვის ერთი რომელიმე განსაზღვრული ინტერესი მიუძღვის წინ. ეს წინამძღოლი ინტერესები ხშირად იცვლებიან, ხშირად უთმობენ ურთიერთს მესვეურობას დროსა და გარემოების მიხედვით, მაგრამ ეს სრულიად იმას არა ჰნიშნავს, ვითომც ისტორიული განვითარება მოითხოვდეს, რომ ყოველთვის მთელი საზოგადოებრივი გულისყური ერთი რომელიმე ინტერესით შთაინთქმებოდეს, ხოლო ყველა სხვა ინტერესები კი დავიწყებას მიეცემოდნენ. პირიქით, რაც უფრო მდიდარია კულტურული შინაარსით განსაზღვრული საზოგადოებრივი ერთეული, მით უფრო მეტი საზოგადოებრივი ხასიათის ინტერესები ჰმოქმედებენ იმის წიაღში, მით უფრო მრავალფეროვანია იმისი ცხოვრება და მით უფრო მტკიცე საფუძველზეა დამყარებული მისი წინმსვლელობა. ისეთს საზოგადოებას, რომელიც ანგარიშს არ გაუწევს ცხოვრების მრავალფეროვნებას და მთლად ერთის რომელიმე საზოგადოებრივი ინტერესის მოამაგედ შეიქმნება, მწარე—ბალღამივით მწარე მერმისი მოელის. ასეთი საზოგადოებრივი ერთეულისთვის დამარცხება სრულს განადგურებას მოასწავებს, მაგრამ გამარჯვებაც კი არარაობის წინაშე დააყენებდა მას, გამარჯვებაც კი დაშფუკავდა იმის სამოქმედო ენერგიას და მხურვალების ნაცვლად მკვნარეობას შესძენდა მას..

ცალმხრივობა, ვიწროობა ყველგან დამღუპავია, ხოლო ყველაზე მეტად კი საზოგადოებრივს ცხოვრებაში, რად-

გან არ არსებობს სხვა ისეთი რთული ვითარება, როგორც საზოგადოებრივობაა. ზემოდ ვთქვით, რომ ჩვენს ცხოვრებაში პოლიტიკამ ყველა სხვა საზოგადოებრივი ინტერესები დაჩრდილა. ვიდრე გარეგნულად გამოხატული ბრძოლა პოლიტიკურ ინტერესებისთვის ღუოდა და ცეცხლის ალში ჰხვევდა თვითშეგნებას, ვიდრე ამ ბრძოლის პროცესში გართულს ხალხს მარტოოდენ მებრძოლის პსიხიკა ამოძრავებდა, არც დრო იყო და არც საჭირო, აღნიშნულიყო საზოგადოებრივ ინტერესების გაცალხაზიანება, მაგრამ დღეს უკვე გაიარა პოლიტიკურ ბრძოლის ამ მწვავე მომენტმა; დადგა დრო პოლიტიკის გვერდით სხვა საზოგადოებრივ ინტერესების წინ წამოსაყენებლად, დადგა დრო ცალხაზიანობის ნაცვლად მრავალფეროვანების აღსანიშნავად. მიუხედავად ჩვენის ცხოვრების კულტურულ სიღარიბისა, მიუხედავად ჩვენის საზოგადოებრივ ღირებულებათა სიმცირისა, პოლიტიკურ ინტერესების გვერდით უკვე სხვა საზოგადოებრივი ინტერესებიც იკავებენ ადგილს. საკმაოა მოვიგონოთ წ.-კითხვის გავრცელება, სკოლის გარეშე განათლება, პროფესსიონალური მოძრაობა, საკოოპერაციო ორგანიზაციებისადმი ინტერესის გაღვიძება და მრავალი სხვა. საზოგადოებრივი ინტერესები თან და თან უფრო და უფრო ფართოდ იშლებიან, უფრო და უფრო თამამად იმართებიან წელში. ახლად გაღვიძებულ საზოგადოებრივ ინტერესების ასპარეზი დიდია და იგი თავისუფლად დაიტევს ქართველ ინტელიგენციის მთელ ძალ-ღონეს. მშრომელი ხალხი, რომლის გულშიაც გაიშალა ეს ახალი ინტერესები, ელის ქართველ ინტელიგენციას... იხსნება გზა ისტორიულად ჩატეხილ ხიდის გამრთელებისა. მშრომელმა ხალხმა თავისი გულის-თქმა უკვე საკმაოდ ნათლად გამოხატა, ჯერი ქართველს ინტელიგენციაზეა მიმდგარი. რას იტყვის იგი? როგორ პასუხს გასცემს?— განცდილ პოლიტიკურ ბრძოლის მიერ ნაანდერძევ პარტიულ წარბ-შეუხრელობაში ჩააქცევს უნაყოფოდ იგი თავის სამოქმედო ენერგიას თუ, პირიქით, საკმაო ცხოველმყოფელობას გამოიჩენს და მედგრად გაუკაფავს გზას ახლად გაღვიძებულ საზოგადოებრივ ინტერესებს?—ახლო მომავალი გვაჩვენებს ყველა ამას, დღეს კი დანამდვილებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ქართველ ინტელიგენციის პასუხს დიდი, უზომოდ დიდი მნიშვნელობა იქნება როგორც ქართველ მშრომელ ხალხისათვის, აგრეთვე მთელი ერისთვის.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

—:—

**Ჯარი საზღვარზე.** ჯულფაში, სპარსეთის საზღვარზე, დიდ-ძალ ჯარისთვის მოუყრიათ თურმე თავი. რადგან სადგომები არა ყოფილა, ჯარისათვის ხუთი ადგილობრივი სასტუმრო ყაზარმებად გადაუკეთებიათ.

**Შეტაკება.** როგორც იტყობინებიან, ქ. ნახიჩევნიდან 30 ვერსის მანძილზე სპარსეთ-რუსეთის საზღვარზე შეიარაღებული ქურთები თავს დასცემიან მოდარაჯე სალდათებს. ატეხილა სროლა. ამბობენ, რომ ქურთებმა სამი ჯარის კაცი მოჰკლეს და რამდენიმე დასჭრეს. ადგილობრივ წასულა ერევნის გენერალ-გუბერნატორი.

**Მუშების დათხოვნა.** 24 დეკემბერს ზინგერის სავაჭრო სახლის ტფ. განყოფილების ადმინისტრაციამ ესრედ წოდებული „სბორჩიკები“ დაითხოვა. შარშან მოპოვებული უფლებანი ადმინისტრაციამ მუშებს წაართვა; მუშებმა ამის გამო განცხადება შეიტანეს. ადმინისტრაციამ ამაზე წინადადება მისცა მუშებს, დამორჩილებულიყვნენ შემდეგ პირობებს: მოსამსახურეთა მიღება და დათხოვნა ადმინისტრაციის სრულ უფლებას შეადგენს და მუშებს არაკითარი ნება არა აქვთ ჩაერიონ ამ განკარგულებაში; აგრეთვე მუშებს და მოსამსახურეებს არავითარი უფლება არა აქვთ ჩაერიონ ადმინისტრაციის რომელსამე განკარგულებაში; მოხელეებს და მუშებს არავითარი უფლება არა აქვთ რაიმე კერძო საქმე აიღონ, ან საკუთარი ვაჭრობა გამართონ; მათ მთელი თავიანთი დრო ზინგერის ინტერესების სამსახურს უნდა მოანდომონ და სხვა. ამასთან ზინგერის ადმინისტრაციამ გამოუცხადა მუშებს, თუ ვინიცობაა ადმინისტრაციის რომელსამე წევრს გამოუცხადეს მუქარა ან სისრულეში მოიყვანეს ტერორისტული აქტი, ყველანი დათხოვნილნი იქნებიან. მუშებმა ასეთს წინადადებაზე ხელი არ მოაწერეს და გაიმეორეს მოთხოვნილება, რომ ძალაში დარჩენილიყო ძველი პირობები. ამის გამო [illegible] დეკემბერს 37 მუშა დაითხოვეს.

**Ტრამვაის შეჩერება.** გუშინ, 28 დეკემბერს, დილის [illegible] 2 საათის განმავლობაში შესწყდა ტფილისში ტრამვაის ვაგონების მიმოსვლა. მიზეზი ის იყო, რომ დირექციას ერთი მოსამსახურე დაეთხოვნა და ამის გამო დანარჩენნი გაფიცულიყვნენ. დათხოვნილი მიიღეს და 2 საათის შემდეგ მოძრაობა განახლდა.

**Სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება.** პეტერბურგის სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოების საორგანიზაციო ბიურომ შეატყობინა ტფ. სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობას, რომ 3—7 იანვარს პეტერბურგში სახალხო უნივერსიტეტების წარმომადგენელთა საერთო კრება გაიმართება და თქვენი წარმომადგენელი გამოგზავნეთო.

**Უმაღლეს კურსებზე.** პროფ. ა. ს. ხახანაშვილი უკვე ჩამოვიდა ტფილისში და ლექციების კითხვას შეუდგება დღეს, 29 დეკემბერს. პირველ ორს ლექციას ქართულ ლიტერატურის ისტორიიდან წაიკითხავს დღეს საღამოს 6—8 ს. პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკის (ალექსანდ. ბაღი) დარბაზში.

**Ახალ-თანამდებობაზე გადაყვანა.** ტფილისის სასულიერო სემინარიის დიდაქტიკისა და ქართულ ენის მასწავლებელი ილია ფერაძე გადაუყვანიათ ბათუმის სავაჟო გიმნაზიაში რუსულისა და სიტყვიერების მასწავლებლად, ხოლო იმის ადგილზე, როგორც ამბობენ, ნიშნავენ ს. რ. გორგაძეს.

**Სახელმძღვანელო წიგნები.** გამოვიდა გასაყიდათ თბილისის ქართულ გიმნაზიის გამოცემები: 1. საზოგადო გეოგრაფია: ევროპა; 2. საზოგადო გეოგრაფია: აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია; მოკლე ხანში გამოვა: 3. არითმეტიკის სახელმძღვანელო და 4. ალგებრაულ ამოცანათა კრებული.

**Ნოქართა შესახებ.** პროფესსიონალურ კავშირების შეერთებულმა კომისიამ დაადგინა, საყვედური გამოუცხადოს იმ ნოქრებს, რომელთაც დაარღვიეს დებულება და 33 დეკემბერს გამოვიდნენ სამუშაოდ. კომისიამ დაადგინა აგრეთვე წინადადება მისცეს ნოქრებს, 30 დეკემბერს არ იმუშაონ.

**Გამგეობის წევრი.** ტფილისის გუბერნატორმა თანამდებობაზე დაამტკიცა ტფ. საბჭოს მიერ გამგეობის წევრად არჩეული თავ. ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვი.

**Თათბირი.** გუშინ, 28 დეკემბერს, კავკასიის ნამესტნიკის საბჭოში ზოგიერთ დაწესებულებათა წარმომადგენლების თანამონაწილეობით მოხდა თათბირი დამშეულთა შესახებ.

**Თავ-დასხმა.** ქუთაისში 24 დეკემბერს შეიარაღებული კაცები თავს დაესხნენ ოთხ საერობო დარაჯს, რომელნიც ორ ტუსაღს მიჰყვებოდნენ. ერთი დატუსაღებული იმათგანი გაქცეულა, მაგრამ ისევ დაუჭერიათ. სროლის დროს ერთი დარაჯი მოუკლავთ. ვერავინ ვერ დაიჭირეს.

**Ტფილისის ამბები.** 24 დეკემბრიდან 27 დეკემბრამდე ტფილისში შემდეგი ამბები მოხდა: 24 დეკემბერს დააპატიმრეს ტასულ-პურტო ოღლი, ხოსრო-სადო-ოღლი და ნიკოლოზ როგაჩევი, რომელთაც გაეცარცვათ იავარიანცი. ერთს აღმოაჩნდა რევოლვერი.

24 დეკემბერს, დილის 11 საათზედ, ტფ. ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელს მალინოვსკის კადეტსკის ქუჩაზე, წამოსწევია უცნობი და რევოლვერი უსროლია. ტყვია მალინოვსკის ასცდენია, მოხვედრია კედელს, საიდანაც ტყვია მსროლელს ფეხში მოჰხდრია და დაჭრილა. მალინოვსკი შევარდნილა თავის ბინის შესავალში. თან მიჰყოლია მეორე უცნობი და მიუყოლებია რევოლვერი, მაგრამ აუცდენია. ამის შემდეგ ორი უცნობი გაქცეულა და იქვე დაუტოვებია დაჭრილი ამხანაგი. დაჭრილი აღმოჩენილა შორაპნის მაზრის მცხოვრები გიორგი აბაშიძე, რომელიც მეეზოვედ მსახურებს თურმე. დაპატიმრებულს რევოლვერი არ აღმოაჩნდა.

ვორონცოვის გზატკეცილზე ტოლლეს ქარხნის მახლობლად პოლიციელებმა ნახეს მოკლულ კაცის გვამი. მოკლული აღმოჩნდა მირზოევის აბანოს კასირი თელავ-ს მცხოვრები ივანე კრიჟანოვსკი. მოკლულს ტანზე რამდენიმე ბებუთი ჰქონდა დაკრული.

24 დეკემბერს მილნი ქუჩაზედ დეპეშების დამტარებელი პეტრე პონომარენკო დასჭრა რევოლვერით უცნობმა.

ნაზარეთის ქუჩაზე მცხოვრებმა თედორე რაკოვმა პოლიციაში გამოაცხადა, 19 დეკემბერს ჩემმა ქალმა 15 წლის ნინამ სადღესასწაულო ტანისამოსი ჩაიცვა, სახლიდან გავიდა და ემსუკან არა სჩანსო.

24 დეკემბერს, საღამოს 9 საათზედ, ყასაბი კ[illegible] მისი სოსამსახურე [illegible] ქუჩი[illegible] თავს დაეცა და მუქარით ფული მოსთხოვა. კოჩუმაშვილმა ერთი განზე გაიყვანა და უთხრა: სანდრო როგორ არა გრცხვენია, ასეთ საქმეს სჩადიხარო. ამაზე უცნობებმა დაახალეს რევოლვერები და გაიქცნენ. დაჭრილი ბახუდაროვი სააავადმყოფოში გაჰგზავნეს.

ოლგას ქუჩაზე 24 დეკემბერს რამდენიმე შეიარაღებული კაცი შეუვარდა მეკანდიტრეს ვლ. დარახველიძეს და მოსთხოვა ფული. მცარცველებმა პოლიციელების მოახლოვება გაიგეს და მიიმალნენ.

იმავე დღეს, საღამოს 9 საათზედ, მეპურეს პართენ საგანელიძეს შეუვარდნენ მცარცველები და დახლიდან 20 მანეთამდე გაიტაცეს.

ავჭალის ქუჩაზე 27 დეკემბერს აბრამ ტერ-აპრამოვს მაღაზია გაუტეხეს და გაიტანეს 269 მან. საქონელი.

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ 27 დეკემბერს, ღამის 11 საათზედ, ტრამვაის მიმავალი ვაგონი წამოეწია ტფ. ქალაქის გამგეობის მოხელეს ა. ტროშჩინსკის და ერთი ფეხი მოსწყვიტა. ტროშჩინსკი იმავე საღამოს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

**Ქველ-მოქმედთა ყურადღებას მივაქცევთ** ნინო გრუზაძის უკიდურეს გაჭირვებაზე. ნინო გრუზაძე ქვრივია, ხუთი წვრილი შვილის პატრონი. კარგი იქნება, ქველ მოქმედებმა ერთიღე გროში არ დაიშურონ და მიაწოდონ გაჭირვებულს მისსავე სადგომში. ნაძალადევი, მელიქოვის სახლი.

**23 დეკემბერს** დ. დ. შტრაუხერის კბილის სამკურნალო სკოლა დაასრულა 7 კაცმა: ანნა ზნამენსკაიამ, აგრაფინა აბაზაძემ, სატენიკ არასხანიანცმა, გ. კარაკულიანმა, ოდანეზ კენდჟიანცმა, ბრონის დამკოვსკისამ და ბარბარე ტერიუტინამ.

**Მოგვივიდა სასწავლო ჟურნალი „ნაკადულის“** მე-12 (მოზრდილთათვის და მე-24 მცირე წლოვანთათვის) ნომრები. შინაარსი პირველ წიგნისა:

„ზამთარი“, ლექსი სოფ. გ—ძისა; „შობის ღამე“, ცქვიტისა; „ინდოურების თავგადასავალი“, სვ. უ—ნისა; „ოშმედგან სიუვირული“, თარგმანი ელენე ანტონოვსკისას;

# ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

## ილია ჭავჭავაძე, როგორც მგოსანი

## IV

### წოდებრივი ელემენტი ილიას ნაწერებში და გლეხთა ტიპები.

(შემდეგი *)

ცალ-მხრივობა იქნებოდა, რომ გვეთქვა, ვითომ ილია ოთარაანთ ქვრივს მსოფლიო ტიპად ჰხდის მარტო იმიტომ, რომ იგი უფრო ძნელს პირობებში იყო, ვიდრე რომელიმე ინტელიგენტი. ეს იქნებოდა არა თუ ცალ-მხრივობა, არამედ შეცდომაც, რადგან ამ შემთხვევაში სოსია უფრო ხელ-მოსატანია. თუ დაუკვირდებით ოთარაანთ ქვრივის დახასიათებას, ადვილად მივხვდებით, რომ ილიას ოთარაანთ ქვრივი მოსწონს არა მარტო იმიტომ, რომ იგი სცხოვრობს ძნელ პირობებში, რომ მას ცხოვრებისაგან გული უკვე გაქვავებული აქვს, რომ იგი მიჰხვდა, თუ რას ნიშნავს ადამიანის ტკბილი სიტყვა, რომელიც მარტოოდენ ანგარიშიანი ხერხია, არამედ უფრო იმიტომა, რომ ოთარაანთ ქვრივი ადამიანის ამ თითქმის გამსრესს პირობებს არ შეუშინდა და არ დაჰკარგა მან ადამიანობის ნამდვილი სახე, რომ იგი მუდამ მაღლა ატარებდა ადამიანობის გრძნობას. თვით გლახებსაც კი არ ინდობდა ხოლმე და ერთის ხელით რომ მოწყალებას აწვდიდა, მეორეს ხელით ლანძღავდა და არიგებდა, რომ წესი არ არის მათხოვრობა იმისთვის, ვისაც შეუძლიან კიდევ იმუშაოსო. მართალია, იგი ჰგრძნობს, რომ წოდებრივს ზღუდეს ვერ გაარღვევს, მაგრამ იგი სხვას არ შეარჩენს თავის-თავის დაჩაგვრას, თვით მებატონეებსაც არ მოერიდება და სანამ ძალუძს, არ გაჰქელინებს მათ ფეხით თავის მოყვარეობას. სიმართლის მოყვარეობა ხომ დედასა და შვილში ისე ძლიერია, რომ ამის გულისათვის ხშირად მოსვლიათ უსიამოვნება მეზობლებთან: „თქვენი რა საქმეაო“ ეტყოდნენ ხოლმე ისინი, როცა დედა და ან შვილი ჩაერეოდა სიმართლის გულისათვის სხვის საქმეში.

ერთის სიტყვით, სიმტკიცე ხასიათისა, გრძნობა თავმოყვარეობისა, სხვის წინაშე ქედ-მოუხრელობა, სიმართლის სიყვარული და ამასთან სხვისადმი გულ-შემატკივრობა,—ყველა ეს ჰხდიან ოთარაანთ ქვრივს მთლიან დედა-კაცად, რომელსაც ცხოვრებამ, მართალია, თავისი დაღი დაასვა, მაგრამ მაინც არ შეუმცირებია მასში მოთხოვნილება თავის თავისადმი, ადამიანის ღირსება მაღლა სჭირებია, თავისი ადამიანობა არავისათვის გაუქელვებინებია და თვითონაც არავინ არ დაუჩაგვრინია... აი, ეს მთლიანობა ადამიანის ბუნებისა: გონების სიმახვილე, შეგნებულება, ხასიათის სიმტკიცე და ამასთან მოსიყვარულე ჩვილი გული, მგოსნის დასურათებით, განხორციელდა ოთარაანთ ქვრივში; იქნება განათლებით იგი დაბლა სდგას ბევრ ინტელიგენტზედ, მაგრამ „ადამიანობით“, მგოსნის აზრით, ოთარაანთ ქვრივი უფრო მაღლა სდგას, ვიდრე ბევრი მაღალ წრიდან გამოსული ადამიანი. ოთარაანთ ქვრივი და გიორგი ისწრაფვიან მომავლისაკენ, თუმცა მათი მდგომარეობა ძალიან ძნელია, და ესეც საკმაოა, რომ მომავალის წინამორბედებად იქმნენ ცნობილნი.

„ოთარაანთ ქვრივ“-ში გამოყვანილ გლეხთა დახასიათებით გამოირკვა, რომ ბატონ-ყმობის შემდეგ გლეხთა ვითარებაში არ მომხდარა ისეთი არსებითი ცვლილება, რომელსაც შესძლებოდა გამოეცვალა მათი მიმართულება. იცვალა მხოლოდ სახე ბრძოლისა, თვითონ საგანი და მიზანი კი ძველი დარჩა. წოდება ისევ მძლავრია თავის წესწყობილებით; უფსკრული გლეხთა და მებატონეთა შორის ისევ არსებობს. მაშ როგორ უნდა მოსპობილიყო ბრძოლა გათანასწორებისათვის, მისწრაფება წოდებრივ „ზღუდეს“ დარღვევისაკენ? პირიქით, რაც უფრო უკვირდებოდა მგოსანი საქმის ვითარებას, მით უფრო ღრმად რწმუნდებოდა, რომ საოცნებო იდეალის და წოდებრივ წესწყობილების დამხობა ჯერ შორსაა და საეჭვოც არის ახლო მომავალში მისი ასრულება. მიზეზი ის არის, რომ ქონებრივს განსხვავებას ზედ ერთვის განსხვავება ამ ორ წოდებრივ რწმენასა და შეხედულობაში, ჩვეულებაში და, საზოგადოდ, მთელ ცხოვრების აგებულებაში. და აკი ამიტომაც აუტანელია ხვედრი იმათი, ვინც მიჰხვდა ამას, როგორც ოთარაანთ ქვრივი და გიორგი. აკი პირველი ცხოვრებას ისე უყურებს, როგორც ადამიანისათვის დასაწვავად და დასაღაგად მოვლენილს ნიჟის, აკი გიორგის ბაღში ლიდინი „ვინ მე და ვინ ის“ (ე. ი. კესო) ასე სასოწარკვეთილებით არის აღსავსე. გონებრივი სიბრმავე და გულის სიყრუვე ურთ-ერთისადმი ზედმეტად აორკეცებს განსხვავების ამ ორ წოდებისას. ამის შეგნება აქვს ოთარაანთ ქვრივს, ამასა ჰგრძნობს გიორგიც, მაგრამ მათ, რასაკვირველია, არ ძალუძთ ამისი ახსნა. და რაც მათ ვერ შესძლეს, ამას გვაძლევს თვით მგოსანი არჩილის პირით.

აღსანიშნავია, რომ არჩილი და კესო, როგორც მგოსანმა დაგვიხატა, მისდევდნენ, სწორედ იმ რჩევას, რომელსაც იძლეოდა თვით ილია თავის ახალგაზრდობის დროის ნაწერებში. ისინიც მონატრულნი იყვნენ, რომ თაყვანი ეცათ ნიჭისათვის, კაცისთვის და არა გვარიშვილობისთვის. მათ ჰსურდათ გადაელახათ წოდებრივი უთანასწორობა და ასე ემუშავნათ ხალხის სასარგებლოდ. მაგრამ მგოსანი არჩილისა და კესოს მაგალითით გვ ჩვენებს, რომ მარტოოდენ არ ძალუძს იმის დარღვევა, რაც ათასის წლობით იზრდებოდა და მაგრდებოდა გლეხთა და მებატონეთა თვითცნობიერების ნიადაგზედ. საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ, როგორც კესოსა და არჩილს მოეკრათ ყური გლეხობაში ნალაპარაკევისათვის, მათის აზრით კეთილის გულით მონაქმედარი გლეხებს თავისებურად გაეგოთ. და-ძმას, რასაკვირველია, სწყინდა ასეთი გაუგებრობა მათის გულის-ნადებისა, ასე ახსნა მათის მისწრაფებისა, მაგრამ მგოსანი სულ სხვანაირად უყურებდა საქმეს. რომ იგი შემდეგში თვით არჩილსვე ათქმევინებს იმ აზრს, რომ გლეხებს მებატონეთა გაგება სხვანაირად არც შეუძლიანთო. საქმე ის არის, რომ როდესაც გიორგი დიდის ამბით დაასაფლავებინა არჩილმა, ხალხში ზოგმა მოუწონა, ზოგმა კი კიცხვა დაუწყო და-ძმას: „კაცი მოიდნეს და ქვეყანას ამით უბმენ თვალსაო“, და მგოსანი თავის მხრივ უმატებს შემდეგ მნიშვნელოვან სიტყვებს: „იქნება ეგრეც იყო. ეს კია: სხვის გულში მართალი ადვილი საპოვნელი არ არი“. შემდეგ იწყობა არჩილის პირით ახსნა იმისი, თუ გლეხებს რატომ არ შეეძლოთ სხვანაირად გაეგოთ და-ძმის საქციელი. მიზეზი, არჩილის სიტყვით, მდგომარეობს იმაში, რომ გლეხნი და მებატონენი ერთმანეთისათვის უცნობნი არიან: „ჩვენი მადლი, ჩვენი კეთილი არა სწამთ, არა სჯერათ. ერთიც და მეორეც ჩვენგან უკვირთ, ეუცხოვებათ: რადაო და რისთვისაო? იკითხავენ ხოლმე. რად იზამს კეთილს?... ჩვენ ვინა და ისინი ვინ!... ორი სხვა და სხვა ქვეყანაა—შორი შორსა ვართ მეთქი.“

ამნაირად, მგოსანს აქ ის აზრი აქვს გამოთქმული, რომ მადლი და კეთილი სხვა და სხვა წოდებას სხვადა სხვა ნაირად ესმის; თუმცა სიტყვას ერთსა და იმავეს ხმარობენ, მაგრამ შინაარსით კი სხვადა სხვა ცნებას აღნიშნავენ ხოლმე და ის, რაც ერთის წოდების—მებატონეთა აზრით კეთილი და მადლია, მეორის—გლეხის—აზრით მარტოოდენ ანგარიშიანი ხერხია, რადგან დღევანდელი ზნეობრივი რწმენა არ წარმოადგენს რაიმე უცვლელ კანონს. ჩვენ ვხედავთ ოთარაანთ ქვრივში, რომ მარტოოდენ ერთს პირს არ ძალუძს ზნეობრივ შემეცნების იმ წოდებრივ ელემენტებისაგან განთავისუფლება, რომელიც ხელს უშლის თავის მიზნის ხალხში მუშაობისათვის მიღწევას. იმიტომ არ ძალუძს, რომ კერძო კაცი, კერძო ზნეობრივი სიფაქიზე არა კმარა იქ, სადაც ერთმანეთს ეჯახებიან სოციალურათ წინაღმდეგობანი, რომ ინდივიდუალური ზნეობა და ინდივიდუალური რწმენა იქ ვერაფერს ჰხდება, სადაც ბატონობს უმეტესად სოციალური მოვლენა... ამიტომაც კესოს, რომელიც უფრო გრძნობითა და ზნეობრივის საზომითა სჯის, ვიდრე არჩილი და მგოსანი, ვერ წარმოუდგენია ეს მოურიგებლობა ინდივიდუალურ ზნეობრივი რწმენისა იმასთან, რაც გარშემო ხდება, და სასოწარკვეთილებით წამოიძახებს ხოლმე: „რატომ არ უნდა მიკვირდეს. ჩვენ წმინდა გულით ჩვენი მადლი გადავიხადეთ და იმათ (ესე იგი გლეხთ) ჩირქი მოგვცხეს...“ ან კიდევ: „მაშ მადლი მადლად, კეთილი კეთილად აღარ უნდა გადიოდეს იმათში?!“ (ესე იგი გლეხებში) აქ კესოს ვერ წარმოუდგენია ის, რომ გლეხთ მადლი სხვანაირად ესმით, ვიდრე მებატონეთ.

„მაშ გული ქვეყანაზედ აღარ არის! მოჰკვდა, გამოეცალა ადამიანს...“

პსიხოლოგიურის ანალიზით, რომელიც მგოსანმა მოგვცა არჩილის სახით, შეგვიძლიან ადვილად გავიგოთ, ერთის მხრით, ის, თუ რატომ მსჯელობს კესო ასე, რატომაა იგი სუსტი და უძლური, როდესაც მას აცხოველებს ასეთი სიმპატიური მისწრაფებანი, და, მეორეს მხრით, რატომ უყურებენ გლეხები ეჭვის თვალით იმათ, ვინც მათზე წოდებრივ, ქონებრივ და გონებრივ მაღლა სდგას. იმიტომ, რომ ერთიცა და მეორე მხარეც, გინდაც რომ გამსჭვალული იყოს ერთმანეთის გაგების, ერთმანეთთან მორიგების სურვილით, ერთ ზნეობისა და, საზოგადოდ, მისწრაფებათა საქმეში გაუდენთილია წოდებრივის საზომით მათ არ ძალუძთ ამ წოდებრივ ელემენტებს მაღლა დასდგნენ, რადგან ისინი მათს განვითა-

*) იხ. „ისარი“ № 283.

„მათხოვარი“, ლექსი ბ. ახასპირელისა; „სტრასბურგის საათი“, ლეგენდა ნიკო წინამძღვრიშვილისა; „სამშობლო ქვეყანა“. ალ. ყიფშიძისა; „საუბარი ფიზიკიდან“, ელენე ჭიჭინაძისა; „ჭვარი“ (ჰიგიენური საუბარი), დ. ბოცვაძისა; „მითოლოგია“, ტრიადის ომი. ა. მიქაბერიძისა; გასართობი.

შინარსი მეორე წიგნისა:

„ალიონზედ“, (ლექსი) სოლ. გ—ძისა; „ნათლობაში“, გიორგისა; „არჩილის და ლევანის მირგვლი შობის ხე“, მ. დემურიასი; ძაღლის მეხსიერება“, (თარგმანი) ელენე ჭიჭინაძისა; „გირის თავგადასავალი“, ნ. ყიფიანისა; შარადა, ხალხური ლექსი გამოცანა, რებუსი.

# პრესა

—:—

ბევრი დარწმუნებული იყო და დღესაც დარწმუნებულია, რომ რუსეთში ახალი ცხოვრება დაიწყო, იგი უფლებრივ სახელმწიფოთ გადაიქცაო. არიან ისეთები, რომელთაც დღესაცა ჰგონიათ, რომ სახელმწიფო სათათბირო შესამჩნევ ცვლილებებს შეიტანს რუსეთის ცხოვრებაში და ამით განახლების გზას დაადგებაო მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ მესამე სათათბიროს მუშაობას, დავინახავთ, რომ მან რუსეთის განახლების საქმეს სრულიად არაფერი შჰმატა. ათასნაირი საჭირობოროტო საკითხია გადასაწყვეტი, სათათბირო კი ისეთს წვრილმანებს ანდომებს მთელ თავის ენერგიას, რომ ადამიანს სიცილს მოჰგვრის ტუჩებზე.

პირველ სათათბიროს მოწვევისათანავე,— სწერს «რუსკ. სლ.» მცხოვრებთა გულში მკვიდრი ნიადაგი მოიპოვა იმ რწმენამ, რომ ეს დაწესებულება რუსულ ცხოვრებაში ძველ წეს-წყობილების შესაცვლელად დაიბადა; მას ძველი უფლების მაგიერ ახალი უფლება უნდა დაემყარებინა. სწორედ ასევე უყურებდა სათათბიროს 17 ოქტომბრის მანიფესტიც, თუ მას ვიტეს მოხსენებასთან ერთად განვიხილავთ. „მთავრობის პირველ მიზანს უნდა შეადგენდეს,—ეწერა ამ მოხსენებაში,— უფლებრივ წესწყობილების ძირითად ელემენტების განხორციელება. ეს ელემენტებია: თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებებისა, კავშირებისა და პირადი ხელშეუხებლობა».

ამის განხორციელებას უნდა ცდილიყო მთავრობა და სწორეთ ამის განხორციელებასაც დაგვპირდა იგი 17 ოქტომბრის მანიფესტში, მაგრამ დანაპირები მხოლოდ დაპირებად დარჩა. რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულება კი ამ დროს ადგენს კანონ-პროექტებს სატყეო დეპუ-

ლებათა 253 მუხ. გავრცელების შესახებ პრიბალტიისა, პრივისლისა და კავკასიის ადგილებზე, ფილოქსერის საწინააღმდეგო ზომებზე და სხვა.

აუარებელ წვრილმან კანონ-პროექტებით გაავსეს სხვა და სხვა სამინისტროებმა სათათბირო, საფუძვლები რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებისა კი ისევ ძველებურები დარჩა. ცხადია, რომ მთავრობა ისე კი არ უყურებს სათათბიროს, როგორც საკანონმდებლო ორგანოს, არამედ როგორც უბრალო კომისიას, რომლის კომპეტენციაც ასეთ წვრილმან საკითხებზე შორს არ უნდა მიდიოდეს.

* *
*

გაზეთები კვლავ განაგრძობენ პირველ სათათბიროს დეპუტატთა პროცესსის განმარტება-დაფასებას. ამასთან თითოეული გაზეთი თავისებურათა ხსნის ამ პროცესს და თავისებურად ახასიათებს მას.

„ნოვოე ვრემია“ სწერს, პირველ სათათბიროს დეპუტატები ისეთი პატარა, უმნიშვნელო კაცები იყვნენ, რომ 129 მუხლის მთლად გავრცელება მათზე შეუძლებელი გახდაო. „რეჩი“ კი სხვანაირად უყურებს საკითხს და ამბობს:

ძლივს-ძლივობით მოახერხეს მოსამართლეებმა 129 მუხლის ძალით დასჯა დეპუტატებისა... მორალურ გამარჯვების მაგიერ ისინი დამარცხდნენ მორალურად. ახალ რწმენის ნაცვლად, რომ სინამდვილე გაიმარჯვებს, დარჩა რაღაც გამოურკვეველი რწმენა, რომ იდეოლოგია აღმოფხვრილი არ არის რუსეთში, რომ იგი ცოცხალია და ძლიერი.

ბიუროკრატიას უნდოდა გაესამართლებინა პირველ სათათბიროს დეპუტატები და ამით გაექარწყლებინა მათი ზნეობრივი გავლენა, მაგრამ წინააღმდეგ შედეგებს კი მიაღწია. ამ პროცესში პირის-პირ წარსდგნენ ძველი და ახალი წესწყობილება, და ზნეობრივი გამარჯვებაც მეორეს დარჩა.

## „მცირე შენიშვნა „ცისარტყელას“

გაზეთი «ცისარტყელა» ბ-ნ ივ. გომართელის ლექციის შესახებ («ტვინი და სული») ანგარიშში სწერს და, სხვათა შორის, გადაკვრით იხსენიებს ჩემს ფელეტონებს, სადაც მოკლედ იყო აღნუსხული სრული უსაფუძვლობა მატერიალისტურ მსოფლ-მხედველობისა. გაზეთი «ცისარტყელა» სწერს: ალბად ახლათ მოვლენილი ფილოსოფოსი ბ. რობაქიძე ძალიან განაწყენებული დარჩება, რომ «ისარის» ფურცლებზე მეტოქე გამოჩნდა. რომელიც ეხლა ბ-ნ რობაქიძეს საქართველოში საერო ნიადაგზე სულის «დასაკუთრებას“ ეცილება“.

ძნელი წარმოსადგენია იმაზე დიდი უაზრობა, რანაირიც ამ სტრიქონებშია ჩაქსოვილი. რამდენჯერმე გადავიკითხე ეს სტრიქონები, მინდოდა აზრს, ადამიანის ჯან-საღ აზრის ნიშან-წყალი მაინც დამენახა, მაგრამ ჩემმა ცდამ სრულიად უნაყოფოდ ჩაიარა. ყოველ შემთხვევაში, მკითხველზე ეს სიტყვები ისეთს შთაბეჭდილებას აზდენს, ვითომ მე, ასე ვთქვათ „სულის მადიარებელი ვიყო» და „სულის დასაკუთრებაში» ბ-ნ რობაქიძეს ვეცილებოდე. ბატონებო! რა გემართებათ? ესეც ხომ ავტონომია არ არის? ესეც ხომ ეროვნული და აგრარული საკითხები არ არის, ძალათი რომ თვალებს იბრმავებთ? ან იქნება ძალათი არ იბრმავებთ თვალებს და მართლა ბრმები ხართ? მაშინ რა ძალა გადგიათ, რომ იმაზე სწერთ, რაც არ გაგეგებათ და სწერთ ისეთის რიხით, თითქოს თქვენი პირით თვით განხორციელებული ჭეშმარიტება ლაპარაკობდეს?

მაგრამ თვალ-ხილულნი ხართ თუ ბრმები, ყოველ შემთხვევაში თქვენგან მოვითხოვთ, ჯერ წაკითხული გაიგეთ ხოლმე და მერე შეუდექით კრიტიკას და ირონიულ სიტყვების ხარჯვას.

ჩემის ფელეტონების მიზანი იყო დამემტკიცებინა, რომ როგორც მატერიალიზმი, ისე სპირიტუალიზმი მეტაფიზიკური სისტემებია, რომ თანამედროვე ექსპერიმენტალური, მეცნიერული ფსიხოლოგია უარჰყოფს როგორც ერთს მიმართულებას, ისე მეორეს.

«საზოგადოდ ურთიერთობას სულსა და ხორცს შორის,—ვწერდი მე ერთს ფელეტონში,—**მატერიალისტური ახსნა ვერ აკმაყოფილებს სწორედ ისევე, როგორც ვერ აკმაყოფილებს სპირიტუალისტური ახსნა.** ფსიხოლოგიურმა მეცნიერებამ უკვე გადაიარა ერთი ფაზაც და მეორეც. **დღეს ფსიხოლოგიას არავითარი სურვილი არა აქვს ან სული აღიაროს ფსიხოლოგიურ მოვლენების ქვა-კუთხედად, ან მატერია.** თანამედროვე ექსპერიმენტალურ ფსიხოლოგიას მხოლოდ თვით სულიერ მოვლენებთანა აქვს საქმე, ყველაფერს დანარჩენს კი იგი მეტაფიზიკის საკითხებათა სთვლის“.

თქვენ შეგიძლიანთ მატერიალისტი ბრძანდებოდეთ, მაგრამ ამასთან ერთად არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ მეცნიერულ კვლევა-ძიების თვალსაზრისით თქვენ მეტაფიზიკოსი ბრძანდებით. მე მოვიყვანე რამდენიმე ციტატა თანამედროვე ფსიხოლოგიის საუკეთესო წარმომადგენლებისა, რომელთაც ბევრი იმუშავეს იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ განედევნათ ფსიხოლოგიიდან მატერიალისტური და სპირიტუალისტური მეტაფიზიკა. თქვენ, რასაკვირველია, სრული უფლება გაქვთ თანამედროვე მეცნიერულ ფსიხოლოგიას გადააბიჯოთ და მატერიალისტურ მეტაფიზიკას დაუბრუნდეთ, შეგიძლიანთ ქება-ქება შეასხათ მას მაშინაც კი, როდესაც იმისი არაფერი გაგეგებათ, მაგრამ უფლება კი არა გაქვთ სხვისი აზრები დაამახინჯოთ, მიაწეროთ მას სწორედ ისეთი აზრები, რის დარღვევასაც სცდილობდა იგი. აზრების ასეთს გადამახინჯებას «ცისარტყელა»-ს ბანაკიდან ძალიან დაჩვეულნი ვართ, მაგრამ თუ ასე აშკარად დაამახინჯებდნენ სხვის აზრებს და განზრახ თეთრს შავად მოაჩვენებდნენ ხალხს, ამას კი არ მოველოდით.

სიტყვას აღარ გავაგრძელებ. მე სრულიადაც არა მქონია აზრად იმისი აღიარება, რაც «ცისარტყელამ» მომაწერა; პირიქით, ჩემს მიზანს ის შეადგენდა, რომ დამემტკიცებინა სრული უსაფუძვლობა მატერიალისმის ან სპირიტუალისტურ მსოფლ-მხედველობათა მეცნიერებად გასაღებისა. მეტაფიზიკას შეუძლიან ან ერთი მიიღოს ან მეორე, მეცნიერი კი არც ერთს უჭერს მხარს და არც მეორეს. მეცნიერისათვის არსებობს მხოლოდ სულიერი მოვლენები, რომელთა განხილვაც ექსპერიმენტალურად, ცდის შემწეობით უნდა სწარმოებდეს...

**არ. ჯ—შვილი.**

# პროვინციის ცხოვრება

—:—

**ლეჩხუმი.** საქართველოს სხვა კუთხეების შიმშილით გმინვა-გაებას უმწეო ლეჩხუმიც შეუერთდა. ლეჩხუმის მაზრა რომ ყველასაგან მივიწყებულია, ეს იქიდანაცა სჩანს, რომ, როგორც გაზეთებიდან ვიცით, ქუთ. გუბერნატორს სხვა დამშეულ მაზრების მდგომარეობის გამოსარკვევად კაცები დაუგზავნია, ლეჩხუმისთვის ესეც არ ინებეს. წლევანდელი წელიწადი სწორედ რომ უბედურების წინა-მორბედია ლეჩხუმელთათვის. გაზაფხულის გამუდმებულმა გვალვამ პურს მარცვალი დაუკარგა, ივნისში დათესილმა სიმინდებმა დამწიფება ვერ მოასწრო და თოვლიც ხომ ისე ადრე მოვიდა, რომ ჭყინტად სიმინდს თოვლში ქრებდნენ მცხოვრებნი. ღვინის საუკეთესო მომცემ ადგილებათ ითვლებოდა ჟოშხა, ტვიში, ორბელი, ლაილაში და ორბელი. აქ გაზი მეტ ნაწილად ფილოქსერამ ისე ახმო, რომ ღვინის წვეთიც არ მოსულა. სხვაგან კიდევ სეტყვამ გაანადგურა. ქუთაისიდან ამბავი ამოდის, რომ ფუთი სიმინდი რვა აბაზად ფასობსო. ამან სულ თავ-ზარი დასცა ხალხს. დადგა ნამდვილი შიმშილობა, მაგრამ არავის სჯერა და მაძღრებს მშიერნიც მაძღარნი ჰგონიათ.

ადრე თოვლის მოსვლამ და ყინვებმა იმითიათაც ხელი მოუთავა აქაურობას, რომ პურის დათესვა ვერ მოასწრო უმრავლესობამ, ამასთან ისედაც მცირე საკვები შუა ზამთრამდის არ ეყოფა საქონელს. ყველა ამას დაუმატეთ ხშირი სახადები და დაინახავთ, რომ ხალხს უიმედოსარად განადგურებული ელოდება. გაჩნდა ღორის ჭირი და წინანდელსავით მუსრს ავლებს. საინტერესოა ვიცოდეთ, არიან თუ არა ლეჩხუმში ბეითლები და თუ არიან, რას აკეთებენ.

რეაქციონური სათათბირო ძალიან ბევრს სიამოვნების ღიმილს ჰგვრის აქ, ხალხი კი რამდენადაც წინანდელ სათათბიროს ამბებს მოუთმენლად მოელოდა და წამდაუწუმ გვეკითხებოდა—რა სწერია გაზეთებში და რას გვპირდებიანო, იმდენად ეხლა გულ-გრილად უცქერის. ხშირად გაიგონებთ აქ გლეხის ჩივილს იმაზედაც, რომ ჩემმა ბატონმა „ერთობის“ შემდეგ მომიმატა ნადელი, თორემ კი არ მომიკლოო. დიახ, კვლავ განახლდა ძველებური—ბატონებური შეუბრალებელი გადასახადები, მათრახების ტკაცუნი, უზომო ლუქსი და დიდკაცური ბრძანებლობა. ყველა ამას მიუმატეთ სულიერ მამების საქმენი და დაინახავთ, ხალხი რა მდგომარეობაშია აქეთ.

არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ლეჩხუმელნი დაბლა სდგანან გონებრივ განვითარებით. არსად არ არიან მარჩიელები ისე გაბატონებულნი, როგორც აქ. დიდ სამსახურს გაუწევენ მასწავლებლები ხალხს, რომ ამ მხარეს ყურადღებას მიაქცევდნენ დაარსებდნენ საკვირაო სკოლას და ეცდებოდნენ ხალხის განათლებას. მაგრამ აღვნიშნავთ იმ არა სასურველ მდგომარეობასაც, რომ ლეჩხუმ-სვანეთის სასწავლებელთა შორის არ არსებობს ერთსულოვნური კავშირი, რათა შეიძლებოდეს საერთო საქმის საერთო ძალით გაკეთება.

ლეჩხუმს სხვა უცნაურობასთან ერთი უცნაური მქადაგებელიც მოევლინა. ეს მქადაგებელი გახლავთ სოფ. ლენტეხის მცხოვრები სვანი გ. ლიპარტელიანი. ეს სულით დაავადებული სვანი ამბობს, რომ სამი დღე მკვდარი ვიყავი, გამომეცხადა ღმერთი და დამავალა ხალხში ქრისტეს სარწმუნოების ქადაგება და ისეც გამაცოცხლაო. ეს დაიარეს ზოგიერთებმა. მაზრის უფროსს ნებართვაც მიუცია, რომ სადაც სურს, იქ იქადაგოს სვანმა დაუბრკოლებლად. ამით გათამამებული სვანი დაიარება სოფელ-სოფელ, ჭკზავნის სოფლის „ათამანებს“ ხალხის შესაკრებლად და ქადაგებს - რაღაც უცნაურებას. ეს სვანი ასეთ რამეებს ამბობს: ვინც თუთუნს სწევს, იმას საიქიოს ცალი ხელით და ფეხით ჩამოჰკიდებენ და ქვეშიდან თუთუნის ცეცხლს აუნთებენო. ვინც მარხვაში ხორცს სჭამს, იმას დამპალ კატის ხორცს აჭმევენო და სხ. ზოგიერთი სულიერი მამებიც აღფრთოვანდნენ ასეთის მქადაგებლის მოვლენით და ეუბნებიან ხალხს, აი, შვილებო, ღმერთმა მოგივლინათ მხსნელი და თქვენც დაუჯერეთო. ამ რიგად, ამ სვანმა მთელი ლეჩხუმ-სვანეთი მოვლო.

როგორც იქნა, გვედირსა გაზეთების დროით მიღება. ეს ერთი თვეა, რაც მელინეიკებს მოაქვთ, ასე რომ თითქმის ყოველ დღე ვღებულობთ გაზეთებს, რაიც სასიამოვნო მოვლენად ჩაითვლება ლეჩხუმელთათვის.

**ლეჩხუმელი ზანთველი.**

# რუსეთი

—:—

✦ **კიევის „პოგრომის“ საქმე. 1905 წ.** 18—20 ოქტომბერში რუსეთის თითქმის ყველა ქალაქებში, სხვათა შორის, კიევშიაც „პოგრომები“ გაიმართა. კიევის „პოგრომის“ საქმე ამ ჟამად უკვე ირჩევა. ბრალსა სდებენ 86 კაცს. სასამართლოში, რომლის მუშაობასაც მთელი რუსეთი ყურადღებით ადევნებს თვალ-ყურს, ბევრი რამ საინტერესო ირკვევა. ბრალდებულთა დამცველები მიზეზად ებრაელ-რევოლიუციონერებს ასახელებენ და დაბეჯითებით ირწმუნებიან, „პოგრომი“ მათმა თავგასულმა საქციელმა გამოიწვიაო. სულ სხვანაირ ჩვენებას აძლევენ მოწმენი, რომელთა შორისაც ბევრი პოლიციელი და სამხედრო კაციც არის. ჩელიუსკინი, უბნის ყოფილი ზედამხედველი, მანიფესტის გამოცხადების პირველ დღეებს ამნაირად აგვიწერს: „პოლიციელებს წითელი ლენტები შემოახვიეს, მე არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი... მანიფესტსა ვკითხულობ: სრული თავისუფლება... ჩვენც ვფიქრობდით, რახან ყველგან თავისუფლება სწერია, ჩვენც ხელი არავის უნდა ვახლოთო“. მაგრამ ამას მალე პატრიოტული მანიფესტაცია მოჰყვა, მანიფესტაციას კი—ებრაელების „პოგრომი“. მოწმებმა განაცხადეს, პოლიციელები და ჯარი არავითარ ღონისძიებას არ იღებდნენ, რომ აკლება შეეჩერებინათ, პირიქით, ბევრგან კიდეც შველოდნენ მანიფესტანტებსო. მხოლოდ ერთხელ მოუსურვებიათ ჯარის კაცებს მაღაზიის დაცვა და ისიც... უკვე გაძარცულისა. „ერთს ადგილას ჯარი იდგა,—განუცხადებია ერთს მოწმეს,—მივედით და დახმარება ვსთხოვე. მათ არავითარი ყურადღება არ მომაქციეს. მერე უნტერ-აფიცერს მივუბრუნდი, მაგრამ იმანაც გამაგდო და მითხრა: „ნაბრძანები მაქვს საქმეში არ ჩავერიოო“. ასეთსავე ჩვენებას აძლევენ სხვა მოწმენიც. სასამართლოში ცხადად გამოირკვა, რომ კიევის „პოგრომი“ ადმინისტრაციის მოწყობილი იყო სწორედ ისევე, როგორც სხვა ქალაქებში, სადაც ასეთი პოგრომები გაიმართა.

✦ **თათბირი დასჯილ დეპუტატებისა.** პირველ სათათბიროს დეპუტატთა შორის, რომლებსაც სასამართლომ სამი თვით ტუსაღება მიუსაჯა, ლაპარაკი იყო იმის შესახებ, განასაჩივრონ სასამართლოს დადგენილება თუ არა. ზოგი იმ აზრისა იყო, რომ სასამართლომ სამართლიანად ვერ გაარჩია საქმე, დეპუტატებს ისეთი დანაშაულობაც მიაწერეს, რანაირიც არ ჩაუდენიათ (სახელდობრ, მოწოდების გავრცელებაში მონაწილეობა არ მიუღიათ) და ამიტომ დადგენილება აუცილებლად უნდა განვასაჩივროთო. მეორენი კი წინააღმდეგ აზრისანი ყოფილან. ეხლა, როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, პირველ სათათბიროს დეპუტატებს (კადეტებს) ამის შესახებ თათბირი გაუმართავთ და სასამართლოს დადგენილების განსაჩივრება გადაუწყვეტიათ. ამ საქმის წარმოება ტესლენკოსა და გოლდშტეინისთვის მიუნდვიათ. ამავე საკითხზე ჰქონიათ თათბირი სოციალ-დემოკრატებსა და შრომის ჯგუფს. ორივე პარტიას ისეთივე დადგენილება მიუღიათ, რანაირიც კადეტებმა მიიღეს. მხოლოდ ამათ თა-

რებასა და ძალ-ღონეზედ ძლიერნი არიან. სწორედ ამიტომ ასე უნაყოფოდ ჩაიარა არჩილისა და კესოს ცდამ და, საზოგადოდ, ეგრედ წოდებულმა «ტეტიათა მოტრფიალეთა“ მოძრაობამ. თვით იმ ელემენტებში, რომელნიც სცდილობდნენ ერთმანერთთან დაახლოვებას—პონანიებული ბატონი და გლეხი, (უფრო პირველი მეორესთან, ვიდრე მეორე პირველთან) იმალებოდა მიზეზი მათის სურვილის უშედეგობისა; არა თუ უშედეგობისა, არამედ ერთმანეთის სურვილის გაუგებრობისა. ერთის სიტყვით, ორივე მხარე, ილიას თქმით, სხვა და სხვა ქვეყანაა, რომელსაც სხვა და სხვა ჭირ-ვარამი აქვს, სხვა და სხვა სალხენი და მისწრაფება, სწორედ ისეთი, რომელიც ერთმანეთის მოსპობას ლამობს. ამნაირად წოდებათა შორის არსებობს სხვა და სხვაობა ფსიხიურ ბუნებისა, ზნეობრივი და გონებრივი, მისწრაფების შემეცნების წინააღმდეგობა, რომელიც იმაზედაა დამყარებული და დაფუძნებული, რომ თვით ცხოვრების სინამდვილეში წოდებებს ჰყოფს ქონებრივ და, საზოგადოდ, სოციალურ ინტერესთა არა თუ მარტოოდენ სხვა და სხვაობა, არამედ ძირითადი წინააღმდეგობაც-კი.

თუ ეს ქონებრივი და სოციალური წინააღმდეგობა აუცილებელს ჰყოფს ზნეობრივ და, საზოგადოდ, ფსიხიურ ბუნების სხვა და სხვაობას, მაშასადამე, სანამ ეს წინააღმდეგობა არ გაჰქრება, მანამ შეუძლებელია ფსიხიურ ბუნების შერიგება, დამყარება უცილობელ ზნეობრივ პრინციპისა. „ოთარაანთ ქვრივში“ ილია გვიჩვენებს, რომ არა თუ იქ, სადაც აუცილებლად ერთმანეთს ეჯახებიან ეკონომიური ინტერესები ორის წოდებისა, არამედ იქაც კი, სადაც ამისთანა შეჯახებას ნაკლები ადგილი უნდა ჰქონდეს, გრძნობა და აზრი შეღებილია წოდებრივის ელფერით. წარმოიდგინეთ, თვით სიყვარულშიაც-კი თავისას იტანს თურმე სოციალური და წოდებრივი სხვა და სხვაობა. კესოს ვერც კი გაეგო ის, თუ როგორ შეეძლო მისთხოვებოდა გიორგის. გიორგისაც სჯეროდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. როცა იგი ჰხსნის, თუ რატომ იყო ეს შეუძლებელი, რად ეწინააღმდეგებოდა კესოც და თვით არჩილიც ამ სიყვარულს, არჩილი დაასკვნის, რომ აქ დამნაშავეა მხოლოდ კესოს „ბრმა გული, გვარიშვილობის ცხრაკლიტით დაკეტილი“; „ამ შენი ტოლი ყოფილიყო და ვინ იცის, იქნება ბრძანებასაც გაეჰქრა. სიყვარულს ხომ მაინც მიუხვდებოდი, სხვა არა იყოს რა, თუნდა ნაასალი მაღლი გიორგისა არა სცხებოდა“, ეუბნება იგი კესოს. ამნაირად, კესო ვერცკი მიჰხვდა გიორგის სიყვარულს, თანაგრძნობაზედ ლაპარაკი ხომ შეუძლებელი იყო. ვერ მიჰხვდა იმიტომ, რომ თუმცა იგი სიტყვით და რწმენით თაყვანს სცემს კაცს და ნიჭს და არა გვარიშვილობას, მაგრამ საქმით, თავის და გაუგებრად და უნებურად, ხელმძღვანელობს წოდებრივის საზომით და მერე ისე, რომ ვერც კი იგებს სხვის ხანგრძლივ ტანჯვას, მისადმი სიყვარულით გამოწვეულს.

ამნაირად, რაკი მგოსანმა თვით ქალვაჟთა სიყვარულში გამონახა ის ელემენტი, რომელიც მარტოოდენ წოდებრივ და სოციალურ აღზრდით თუ აიხსნება, ადვილად წარმოსადგენია, თუ რა ღრმა მნიშვნელობას აძლევდა იგი ამ ელემენტს საზოგადოდ ადამიანის შემეცნების განვითარებაში. რწმენა უწოდობრივო ელემენტად შეუძლებელია და ამიტომ ვისაც უნდა, რომ ამაღლდეს წოდებრივ შემეცნებაზედ, მან ჯერ ეს უნდა შეიგნოს. საქვეთა თითქმის ისიც, შესძლებს თუ არა ადამიანი ამას იმ დრომდე, ვიდრე ცხოვრებაში ისეთი თავზარ-დამცემი მარცხი არ მოუვა, როგორიც კესოს და არჩილს მოუვიდათ.

მეორე მოთხრობაში „სახრჩობელაზედ“, მგოსანს გამოჰყავს გაღატაკებული აზნაურები, რომელნიც ცხოვრებამ გარიყა და იძულებულ ჰყო თავიანთი თავი ცარცვა—გლეჯით ერჩინათ. უმცროსი ძმა წერილში მოხუც პეტრეს თავის გულის ნადებს უზიარებს და ფიქრობს, რომ ამ გულის ნადებს პეტრე უფრო კაიგებსო. იგი ნათლად ჰხატავს, რომ ზნეობრივი შემეცნება, ის შემეცნება, რომელიც დღეს საზოგადოებაში მეფობს, ზოგისთვის სახეირო, ხოლო ზოგისთვის უსამართლოა; რომ ეს ზნეობრივი შემეცნება მოწყობილია ამ ქვეყნის ძლიერთა სასარგებლოდ, რომ თუმცა იგი ჰქადაგებს კაცთ-მოყვარეობას, მაგრამ ნამდვილად-კი დაცემულსა და წაბორძიკებულს ადამიანს უფრო ძირსა სცემს. ასე ამ რიგად, ღარიბის თუ გაღარიბებულის ფსიხოლოგია და შემეცნება ძირითად ეწინააღმდეგება მათ შემეცნებას, ვინც ამ ქვეყნად ქონებრივ მაინც უზრუნველ ყოფილია. ამ ორ ელემენტს შორის ხიდი ჩატეხილი ისე, როგორც გლეხთა და მებატონეთა შორის. მათი შეერთება თითქმის შეუძლებელია.

მაგრამ თუ ორ მოთხრობაში აღნიშნულია, რომ დღეს-დღეობით მაინც არ არსებობს უცილობელი ზნეობრივი რწმენა, რომ ყველაფერი შეღებილია წოდებრივის და ქონებრივის სხვა და სხვაობით, განა ეს იმას მოასწავებს, რომ კაცობრიობამ უნდა უარჰყოს ზნეობის გაფაქიზებისთვის მისწრაფება, კაცურკაცობის გაუმჯობესობა, სხვისადმი შველა, და სხვისათვის თავის ინტერესთა დათმობა? რასაკვირველია, არა, და თვით მგოსანიც ასე სწყვეტს ამ საკითხს.

ვიანთი გადაწყვეტილება სხვანაირად დაასაბუთეს; ამათის აზრით, სასარგებლოა, რომ ეს პროცესსი ისევ გამეორდეს.

✦ **პროფესორების სამართალში მიცემა.** სახალხო განათლების სამინისტრომ იმბოლოვოდ შეიმუშავა ფორმა ბრალდებისა, რომლის ძალითაც ოდესის ბევრს პროფესორს სამართალში აძლევენ; ბრალდებენ, რომ ისინი უნივერსიტეტში მომხდარ არეულობის დროს შესაფერ ზომებს არ იღებდნენ და საზოგადოთ რბილათ იქცეოდნენ. ამ პროფესორების გვარები: იურიდიულ ფაკულტეტის დეკანი კოსინსკი, უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი ზანჩევსკი, ყოფილი პრორექტორი ვასკოვსკი, რექტორის თანამდებობის აღმასრულებელი პეტრიაშკილი, ორდინარი პროფესორი როტტერტი, ზავიალოვი, შპაკოვი და ცნობილი მეტეოროლოგი კლასოვსკი. ამ რიგად, რვა პროფესორი ოდესის უნივერსიტეტისა სამართალში არის მიცემული. აქათგან ორი პროფესორი, ყოფილი რექტორი და პრორექტორი უკვე კარგა ხანია დათხოვნილია უნივერსიტეტიდან და სამართალში არიან მიცემულნი.

✦ **სახალხო სოციალისტების კომიტეტი პასუხის-გებაში.** ჩვენმა მკითხველებმა უეჭველია იციან, რომ ამ რამდენისამე ხნის წინათ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიას გამოეყვნენ ზოგიერთი მეთაურები და ახალი პარტია დააარსეს. ამ ახალ პარტიას სახელად „სახალხო სოციალისტების" პარტია დაერქვა. საორგანიზაციო კომიტეტი ამ პარტიისა, რომელშიაც შედიოდნენ ანენსკი, სემევსკი, მიაკოტინი, პეტრიშჩევი, ბოგორაზი (ტანი), ლუტუგინი, ბენუა, შნიტნიკოვი, როდდე, პეშეხონოვი, ზაბოლოტნი და სხვები, პასუხისგებაში მისცეს. როდესაც გამომძიებელმა წინასწარ გამოძიების დამთავრებული აქტები ჩააბარა, მათ განაცხადეს, გიხოვთ საქმეში ჩააქეროთ სენატის პირველ დეპარტამენტის მიერ მიღებული განმარტება იმ საჩივრისა, რომელიც ჩვენ აღვძარით. საჩივარი შეეხებოდა იმას, რომ სახალხო სოციალისტთა პარტიას ლეგალურ მოქმედების ნებას არ აძლევდნენ. ეს საჩივარი სენატს ჯერ არ განუხილავს.

✦ **ბერლინის ყუმბარები და დაჭერილის ვინაობა.** ბერლინში, ამას წინათ აღმოაჩინეს ასაფეთქებელი ნივთიერებანი და დაატუსაღეს ერთი კაცი, რომელსაც განუცხადებია, მე ტფილისის მცხოვრები მირსკი ვარო. პოლიციის დეპარტამენტს ცნობები შეუკრებია და აღმოუჩენია, რომ მირსკი მოგონილი გვარია, რადგანაც ის პირი, რომლის სახელითაცა სცხოვრობდა იგი ბერლინში, ამ ჟამადაც ტფილისში იმყოფება. „რუსკ. სლ." კორესპონდენტი ფიქრობს, რომ ყველა დიდი ექსპროპრიაცები იმის მოხდენილი უნდა იყოს.

# უცხოეთი

**შეერთებულ შტატების მომავალი პრეზიდენტი.** ბოლო ხანებში ბევრსა სწერენ იმის შესახებ, თუ ვინ უნდა დაიჭიროს პრეზიდენტის ადგილი. კანდიდატებად ბევრს ასახელებენ, მაგრამ ყველაზე მეტი იმედები კი ამერიკის სამხედრო მინისტრს ტაფტსა აქვს. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, უკვე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტად სამხედრო მინისტრს ამოირჩევენ. ამ რამდენისამე ხნის წინად ტაფტს უმოგზაურია ამერიკაში და თავის სასარგებლოთ აგიტაცია გაუწევია. ტაფტის მოწინააღმდეგეთა შორის უთანხმოება ყოფილა და ამიტომ მის მომხრეებს შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ტაფტი ადვილად იქნება არჩეული პრეზიდენტად. ამიტომ, საინტერესოა ვიცოდეთ, რანაირია მისი პოლიტიკური პროგრამა, რის განხორციელებას მოისურვებს იგი და საითკენ იქნება მიმართული მისი მოქმედება. ტაფტის უმთავრეს პოლიტიკურ მიზანს ის შეადგენს, გაზეთების სიტყვით, რომ სოციალიზმის განვითარებას ეწინააღმდეგოს. სოციალიზმთან საბრძოლველად კი ტაფტს რუზველტის პოლიტიკის გავრცელება საჭიროთ მიაჩნია. ტაფტს განუცხადებია: „მე პირადად რუზველტის აზრისა ვარ; სახელმწიფოებრივი მოწესრიგება საჭიროთ მიმაჩნია, მაგრამ ამასთანავე ერთად კაპიტალიზმის საფუძვლების დაცვაც საჭიროთ მიმაჩნია. ყოველ შემთხვევაში ეხლა შეუძლებელია დაბრუნება იმ დროსკენ, როდესაც ტრესტები უკონტროლოდ ბატონობდნენ, და ამიტომ დღეს დავა მხოლოდ იმის შესახებ და შეიძლება იყოს, რა უფრო სასურველია— მოწეს-რიგება თუ ნაციონალიზაცია". ასეთია პოლიტიკური პროგრამა ამერიკის პრეზიდენტის კანდიდატისა. როგორც მკითხველი დაინახავს, ეს მხოლოდ უარყოფითი მხარეა პროგრამისა. აქ გამოთქმულია მხოლოდ ის, თუ რის წინააღმდეგ გამართავს ბრძოლას ტაფტი, მაგრამ თვითონ რის განხორციელებას ეცდებაამის შესახებ ჯერ არაფერს ამბობს.

**ეროვნული საკითხი ავსტრო-უნგრეთში.** ავსტრო-უნგრეთში აუარებელი წვრილი ერებია ერთმანეთში და ამიტომ ეროვნული საკითხი ისე ძალიან არსად არ არის გამწვავებული, როგორც იქ. ყველა პოლიტიკური პარტიები ცდილობენ რამენაირადმე გადასწყვიტონ ეს მწვავე საკითხი და ამით დაუსრულებელ ეროვნულ ჰიპპოსასა და ბრძოლას ბოლო მოუღონ. ეროვნულმა პრობლემამ ამ ბოლო ხანებში ისევ თავი წამოჭყო და მწვავე ხასიათი მიიღო დეპუტატმა კიარიმ, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ამ საკითხის გადასაწყვეტად შემდეგი ფორმულა მიიღო: „ვრცელი ეროვნული ავტონომია სახელმწიფო ცენტრალიზმის საზღვრებში. ავსტრიის ოლქებმა თავის ისტორიულ უფლებებზე უარი უნდა განაცხადონ და ეოლსებათა ახალ პირობებს შეურიგდნენ, რადგანაც, ცენტრალისტ კიარის აზრით, სახელმწიფოებრივ ხასიათის საოლქო ავტონომია ავსტრიის მთლიანობასა და სიძლიერეს დაარღვევს. სამაგიეროთ, ავსტრიის ერები უნდა შეერთდნენ ეროვნულ ოლქებად, რომლებიც ყველა ადგილობრივ საკითხებში სრულს თვითმართველობას მიიღებენ. გაზეთი Czas წინააღმდეგს აზრს ადგია და ამტკიცებს: ავსტრიის ის ტორიული საოლქო სტრუქტურა მხედველობაში მისაღებია, მოქმედება საერთო პარლამენტისა, რომელსაც ეხლა ავსტრიის ერთა უკმაყოფილება ხელს მალიან უშლის, მხოლოდ მაშინ დადგება სასურველ ნიადაგზე, როდესაც აღდგენილ იქნებიან საოლქო ავტონომიები და მათი კომპეტენციაც გაფართოვდება. სანამ ერებს ავტონომიები არ მიენიჭებათ, პარლამენტი ობსტრუქციებსა და უმოქმედობას თავს ვერ დააღწევს. ასეთისავე აზრისანი არიან ავსტრიის სოციალ-დემოკრატები; ესენიც მხარს უჭერენ წვრილ ერთა სამართლიან მოთხოვნას და ეროვნულ საკითხის გადაწყვეტა პოლიტიკურ დეცენტრალიზაციის შემწეობით სურთ.

**გერმანიის პოლონეთის ექსპროპრიაციის კანონ-პროექტი.** როგორც „რუსკი ვედ." ატყობინებენ, კანონ-პროექტს პოლონელთაგან მიწების ძალათ ჩამორთმევის შესახებ პრუსიის პარლამენტის სესიის განახლებისთანავე მეორეთ წაიკითხავენ. პარლამენტი მომავალ წლის რვა იანვარს შეეკითხება. კომისიის უკანასკნელ დადგენილების თანახმად, კანონ-პროექტი ცოტაოდენად შეცვლილი იქნება; ამ კანონ-პროექტში აღნიშნული იქნება პოზნანისა და დასავლეთ-პრუსიის პროვინციათა ის ადგილები, სადაც ასეთი ექსპროპრიაცია მიწებისა შესაძლებელი იქნება. ფიქრობენ, რომ ასეთს ადგილად მხოლოდ სამი ოლქი იქნება მიჩნეული. საერთოდ მთავრობას აზრათა ჰქონია პოლონელებს 60.000 ჰექტარი მიწა ჩამოართვას. მთავრობა პირდაპირ აცხადებს. პოლონელებთან საბრძოლველად ამაზე მეტი საშუალება აღარ დაგვრჩენიაო. გერმანიის მთავრობას, როგორც ეტყობა, არავითარი სურვილი არა აქვს ისტორიის მაგალითებს ყურადღება მიაქციოს. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ ის ნათლად დაინახავდა, რომ ამნაირის პოლიტიკით უფრო აცხოველებს ეროვნულ ტენდენციებს და უკიდურესობამდე მიყვანილ ხალხს აქტიურ წინააღმდეგობის გზაზე აყენებს.

**ამერიკა ომისთვის ემზადება.** როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ამერიკის სამხედრო სამინისტროს ფილიპინებზე აუარებელი სამხედრო მასალა, სანაპირო და საველე ზარბაზნები გაუგზავნია. ფიქრობენ, რომ როდესაც ამერიკის ფლოტი მშვიდ ოკეანეში გავა, ფილიპინის გარნიზონის ჯარები და ფორტები უკვე კარგად იქნებიან გამაგრებულნი. იგზავნება აგრეთვე აუარებელი ნაღმები და საზოგადოთ ყველაფერი, რაც კი ნაპირის დასაცველად საჭიროა.

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენის გაზეთის მე-217 ნომერში დაბეჭდილია წერილი ეპისკოპოსის ლეონიდისა. როგორც ამ წერილიდან სჩანს, ჩვენ საზიზღარ ცილს გვწამებს ვიღაც ნიღაბ აფარებული ვაჟბატონი, რომელიც სიკვდილითაც კი ემუქრება ეპისკოპოს თუ ჩვენ არ დაგვითხოვს ადგილებიდან. წერილს ქვეშ აწერია «რ. ს. რ. პ. ჯგუფის ტეროლისტ». შემდეგ გაირკვა, რომ («ისარი» № 242). რ. ს. რ. ორგანიზაციას ამ წერილთან არავითარი კავშირი არა ჰქონია. ჩვენ აღშფოთებულნი ვართ ასეთის ცილის წამებით, ამიტომ წინადადებას ვაძლევთ წერილის ავტორს ნიღაბი აიხადოს, გამოგვყვეს სამედიატორო სამართალში და დაგვიმტკიცოს, რასაც გვწამებს, თუ უნდა, რომ ცილის მწამებლის და შანტაჟისტის სახელი არ დაიმსახუროს. წერილის ავტორი გვწამებს მრევლის შეწუხებას, რომელიც გამოიხატება დრამის ფულის აღებაში ვითომდა იძულებით. ერთმა ჩვენგანმა ს. ზემო სხვავის მღვდელმა, იოანნე გიორგობიანმა დრამის ფული არა თუ იძულებით არ აკრიფა, არამედ წარსულ ორი წლისა ოცდა ხუთ კომლამდეს, (აქ დრამა იკრიფება 80 მეკვამურზე). სრულებით აპატია, ხოლო დანარჩენთ უფრო შეძლებულთ შეჰპირდა ნახევრის პატიებას, თუ ისინი მისცემენ იმ 160 მან., რომელიც დარჩენილია მათზედ სხვა და სხვა მღვდელ-მოქმედების სრულებისათვის. ამ წლის დრამიდან ნახევრის მეტი არ მოუციათ, მეორე მღვდელს თეოფანე გიორგობიანს „დრამის გემო" ჯერ-ჯერობით სრულიადაც არ უნახავს, რადგან იმ წლების დრამა სულ არ მიუღია, და არც ერგებოდა, ვინაიდან ნაკურთხია 1906 წელს. აგვისტოში და ჩადგა სამსახურში ენკენისთვეში რაც შეეხება ამ წლისას, ჯერ არც კი მოკრეფილა.

მღვ. იოანე და თეოფანე ძმები გიორგობიანები.

# დეპეშა

27 დეკემბერი.

**მოსკოვი.** 25 დეკემბერი შობის წინა დამეს გარდაიცვალა სომხეთა გამოჩენილი პოეტი-ბელეტრისტი სუმბატ შახაზიზ.

**კიევი.** კიევის მაზრის სოფელ ვიშ გოროდში ერთ ებრაელის დუქანში ვიღაც შეიარაღებულები შეცვივდნენ და ხუთასი თუმანი მოიტაცეს. როდესაც ებრაელს უარი უთქვამს, მძარცველებს დუქნის პატრონი ნამუხვრებით, ცოლი მოუკლავთ, ერთი ხუთი წლის ვაჟი სასიკვდილოთ დაუჭრიათ, დანარჩენი ოთხი უმაწვილი კი სამინლად განუტანჯიათ. ორი მძარცველი, ადგილობრივი მცხოვრებლები, დაუტუსაღებიათ.

**კიშინევი.** ქალაქის მახლობლად, სადამოთი, ერთს დგინით მოჭურვებს დასცემიან მძარცველები, სასიკვდილოთ დაუჭრიათ მისი ცოლი, შვილი, შვილიშვილი და ერთიც დარაჯი.

**თეირანი.** 23 დეკემბერს მეჯლისის სხდომაზე წაიკითხეს ტექსტი შაჰის მოწოდებისა უცხო ქვეყნების მიმართ, აგრეთვე წაიკითხეს რუსეთისა და ინგლისის მისსიათა საპასუხოთ დაწერილ მოწოდების ტექსტი. ამ პასუხში აღიარებულია შაჰის დაპირება, რომ მტკიცეთ დაიცავს კონსტიტუციას. პასუხის კითხვამ დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია.

რედაქტორ-გამომცემელი ე. ბელიშვილი.


# განცხადებანი

ქუთაისში წიგნის მაღაზია

„იმერეთ"-ში

(წინანდელი „კოლხიდა")

იყიდება

ახალი ქართული კალენდრები: ამხ. „შრომისა"—35 კ., „დროების კალენდარი"—35 კ., ამხ. „სორაპნისა"—20 კ., კ. თავართქილაძისა—40 კ. (ორნაირია) და რუსული კალენდრები. აქვე იყიდება ყოველნაირი ქართული წიგნი, ჟურნალ-გაზეთი და რუსული ახალი გამოცემა. მაღაზიაში უმთავრესი საწყობი ახლად გამოცემულ მელიტონ კელენჯერიძის სახელმძღვანელოების: „ქრესტომატია"—85 კ., „თეორია სიტყვიერებისა", „ქართველი მწერლები"—ივ. გომართელისა—70 კ., „ჩვენი მწერლები"—ს. გორგაძისა—50 კ. ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება"—50 კ., ახლად გამოცემული მისი დიდი სურათი—40 კ. და სხ. იმერეთში მსურველებს შეუძლიათ გამოიწერონ ხსენებულ მაღაზიიდან. (5—5)

ახალი პიესა, 4 მოქმ. დრამა:

„შვილი უდანაშაულოდ დასჯილისა"

ფასი 30 კ.

ნატალია გიგაურისა.

იყიდება: „წ. კ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში", ქუთაისში—ი. კვიცარიძესთან „იმერეთში" და ბეჟანიშვილის მაღაზიაში. (2—533—2)

## გადათარგმნილია

ტურგენიევის „Отцы и Дѣти", გადაითარგმნება „Дворянское гнѣздо", „Рудинъ" და „Наканунѣ" და ვთხოვ ნურავინ გ ირჯება ნუ ისურვებს მათს გადათარგმნას. (2—533—2)

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი; 11—12 ს ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

ე. მ. ჩიქოვანი: $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

ზ. ი. ზაზანაშვილი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

ა. მ. მუგანოვი: 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

გ. ი. გმელიშვილი: 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

ა. ი. კარაპეტიანცი: 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.

ა. ი. შჩერბინინა: $1^1/_2$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

გ. ი. გურგენოვი: 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

საღამოთი:

ა. ი. გრიგორიანი: 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი. (ხალ.—182)

## ჭიათურაში

იყიდება ძრიელ ხელსაყრელ პირობებში „ჯარბელაში" საუკეთესო „პლატფორმა" შავი ქვით. მოწყობილია აგრეთვე „მარგანეცის" ჩამოსაყრელი „ცუსკი".

ადრესი: Тифлисъ, Барятинская № 2, Справочная контора «Трудъ» ანუ ჭიათურაში ხატიევს. (4—503—4)

22 დეკემბერს ღამის რვა საათზედ, ნიკოლოზის ქუჩაზედ ჩამოვარდა [illegible] რვეული, რომელშიაც სხვა-და-სხვა ლექსები და მოთხრობებია იყო მოთავსებული. რვეული 189 ფურცელია, თავში და ბოლოში აწერია: „ეს რვეული ლექსებით და მოთხრობებით ეკუთვნის ტეტიას შვილის შვილს". რადგან მპოვნელი ამ რვეულში დაწერილს ვერ გამოიყენებს, ვთხოვ უკან დამიბრუნოს, რისთვისაც დიდ მადლობას გარდავუხდი. ადრესი: „ისარი"-ს რედაქცია. (2—1)

## საჭიროა

აგენტები

„სორაპნის" ამხანაგობისათვის ჟურნალ-გაზეთების გასასყიდად:

1) ქ. ბაქოში,
2) ქ. ერევანში,
3) ქ. ყარსში,
4) ქ. ალექსანდროპოლში,
5) ქ. განჯაში,
6) დ. ჩოხატაურში,
7) ქ. სიღნაღში,
8) ქ. ვლადიკავკაზში.

თითოეულ აგენტს ექნება შემოსავალი 20 მანეთიდან 150 მანეთამდე თვეში; იმისდა მიხედვით თუ აგენტი რომელ ქალაქში იქნება, სავალდებულოა წარმოადგინოს „ზალოგი" ფულად 60 მანეთიდან 500 მანეთამდე.

მსურველს შეუძლიან მოგვმართოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ товарищество „Сорапань" (3—6.—2)

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

## „ჯეჯილი"

დაარსებულია 1890 წელს

ამ 1908 წელსაც გამოვა ყოველ თვეში. მკითხველი მიიღებს წლიწადში 12 წიგნს.

**ჟურნალში ორი განყოფილება—პატარებისათვის და მოზრდილთათვის.**

ამ 1908 წელს სხვათა შორის დაიბეჭდება ივ. გომართლის სტატია: „საფრანგეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილება» და ილია ალხაზიშვილისა: ბუნების ლექსიკონი (ბრემიდან) სურათებით.

1907 წ. ხელის მომწერლებს დაურიგდებათ საჩუქრათ ალბომი ფერადი სურათებით.

ჯეჯილი ტფილისში ღირება 4 მან. ქალაქ-გარეთ გაგზავნით 5 მან. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: წერა-კითხვის საზოგ. მაღაზიაში და თვით რედაქციაში არტილერიის ქუჩა, № 5.

მთელი სერია ჯეჯილი 16 წლისა, ღირს 25 მან. ვინც რედაქციიდან წაიღებინებს და ქალაქ გარეთ გაგზავნით 30 მ. რედაქციაში იყიდება ყველა რედ. გამოცემული წიგნაკები.

რედ.-გამომცემელი ანასტასია თუმანიშვილი წერეთლისა

საფაჭრო სკოლა. ‖ საბუხჰალტერო კურსები.

## ივ. ზაქ. ტერ-სტეფანოვისა

(გათავებული აქვს „მაღლესი საკომერციო კურსები პეტერბურგში)

სკოლა ხუთ კლასიანია (პროგ. საშ. სასწავლ.) ამზადებს გიმნ. და სხვა საშ. სასწავლებლებში; აგრეთვე ამზადებს სწავლულ მოანგარიშის, ჩინის საპატიო მოქალაქის მისაღებ ხარისხზე და სამხედრო ბეგრის მეორე ხარისხის შეღავათის მისაღებად. მიღება შეიძლება პირველ და მეორე კლასში იანვრიდან. ნახევარი წლის გარდასახადი 30 მანეთია.

(კურსი ნახევარ წლისა) ორივე სქესისათვის; სწავლა არის ნასადილევს. კურსის გათავება ღირს 50 მან. კურებზე მიღება დაიწყება იანვრიდან, ატესტატი მიეცემათ მაისში. იქვე ასწავლიან საზოგადო განათლების საგნებს, ქირაზე კერძო შეთანხმებით ვინც ვერ მოასწრობს ნახევარი წლის განმავლობაში კურსის გათავებას, ხელმეორედ ასწავლიან მუქთად.

თხოვნების მიღება, პროგრამის და წესდების მიღება შეიძლება ყოველ დღე. ადრესი პირველი თუმანოვის ქუჩა (აზიალ. ქუჩ. დასაწყისი) სახ. სახლი № 13. (3—537—1)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად წიგნი

## სახალხო კალენდარი 1908 წლის

შედგენილი და გამოცემული მ. გაჩეჩილაძის მიერ.

კალენდარი შეიცავს 272 გვერდს, საშუალო ზომისას; მოთავსებულია შიგ 25 სხვა და სხვა ნახატი და სურათი. თვეთა რიცხვი და უქმეები, ფოსტა-ტელეგრაფი, სამეურნეო და იურიდიული ცნობები, საზარეულო, სხვა და სხვა საინტერესო ციფრი და გამოკვლევა, სახუმარო გასართობი და სხვა.

**კალენდარი ყველგან ღირება 20 კაპეიკი.** იმას გარდა კალენდრის **მყიდველებს მიეცემათ 200 მანეთის საჩუქარი.** ეს საჩუქარი განაწილებულია შემდეგ ნაირად: 219 მყიდველს კალენდრისას შეჰხვდება:

| | | | |
|---|---|---|---|
| 50 | მყიდველს | თხზულებანი თ. მაგმაძისა კალმის მონახმი—თითო | 25 კაპ. |
| 50 | ,, | ,, ნოე ჟორდანია, ანარქიზმი . . . . . | 30 კაპ. |
| 50 | ,, | ,, წერილები საქართველოს შესახებ ისარლოვისა . | 80 კაპ. |
| 5 | ,, | ,, მთელის წლით გაზეთი «ისარი» | |
| 5 | ,, | ,, მთელის წლით სასუმარო ჟურნალი ,,ნიმადური'' | |
| 5 | ,, | ,, მთელის წლით გაზეთი ,,წყარო'' | |
| 1 | ,, | ,, შოთა რუსთაველის დიდი სურათებიანი ვეფხვის ტყაოსანი | |
| 3 | ,, | ,, მთელის წლით ,,ეშმაკის მათრახი'' | |
| 50 | ,, | , როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად. კალრიავსკისა—20 კ. | |

კალენდრის მყიდველებს საჩუქარი შეჰხვდებათ შემდეგ ნაირად: 170 კალენდარში ჩადებული იქნება სადარბაზო ბარათი და თვითეულ ბარათზედ აღნიშნული იქნება საჩუქრის რაოდენობა; კალენდარს ოთხივ-კუთხივ ექნება შემოკრული ბანდეროლი; ეს ბანდეროლი ბეჭედ დაკრული იქნება, ასე რომ მყიდველი სანამ ბანდეროლს არ გახსნის და კალენდარს არ გადაშლის, მანამ ვერ გაიგებს—ერგო თუ არა საჩუქარი. ბანდეროლ გახსნილი კალენდარი გაყიდულად ჩაითვლება და იმისი უკან მიღება აღარ შეიძლება. თუ რომელსამე მყიდველს საჩუქარი შეხვდა, შეუძლიან ეს საჩუქარი მიიღოს პროვინციებში ჩვენ აგენტებთან იანვრის 15 რიცხვიდან 1908 წლის დამლევამდე: გორში—არჩუაძესთან, მიხაილოვში—აფ. ებანოიძესთან, ყვირილაში—„სორაპნის" მაღაზიაში, ქუთაისში—„იმერეთის" წიგნის მაღაზიაში, სამტრედიასა და ფოთში—ძმ. კოხრეიძეებთან, ოზურგეთში—ლორთქიფანიძესთან, ლანჩხუთში—შ. ცინცაძესთან, ბათუმში—ფირცხალაშვილთან, სოხუმში—ზუგუშიძესთან; ტფილისში კი ქართველთა ამხანაგობის კიოსკში მ. ცაგარელთან. კალენდრები კი იყიდება ს. მერკვილაძესთან, „წერა-კითხვის" საზოგადოებაში, სპ. ქელიძესთან—ვერაზედ და სხვაგან. (10—6.—6)